## მოგვმართეთ, თუ თქვენ

- აწყდებით სირთულეებს ურთიერთობისას; ხშირად ხართ გაღიზიანებული, აგრესიული, გაუწონასწორებელი
- ავლენთ ემოციურ პრობლემებს - ხართ სევდიანი, გაქვთ მაღალი შფოთვის და მოუსვენრობის ეპიზოდები
- გაქვთ ძილის პრობლემები ან სამედიცინო მიზეზით აუხსნელი სხვა სომატური ჩივილები - მუცლის, თავის ტკივილი და სხვ.

# პროექტი

# SOLATIUM-ი: სამართლიანობისა და კეთილდღეობისთვის

**კონსულტაციისთვის ან დახმარების მისაღებად**
დაგვიკავშირდით ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით


+995 599 801039
+995 591 634179
+995 591 633903
+995 599 164447

clubsynergy.solatium@gmail.com



პროექტი მხარდაჭერილია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (ICC) დაზარალებულთა ნდობის ფონდის (TFV) მიერ.

Fonds au Profit des Victimes
The Trust Fund for Victims

პროექტს ახორციელებს ფონდი „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში-თბილისი“ (გიფ-თ) და მისი პარტნიორი ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“

პროექტი მიმართულია მცხეთა-მთიანეთის რეგიონის სოფლებში დასახლებულ 2008 წლის ომით დაზარალებული მოსახლეობის, სამხედრო დანაშაულის მსხვერპლთა, ცალკეული პირების, მათი ოჯახის წევრთა და დევნილთა თემის ფსიქიკური ჯანმრთელობის, სამედიცინო და სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილებაზე, რაც განხორციელდება მულტიდისციპლინარული ფსიქიკური ჯანმრთელობის და ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის გუნდის - „კლუბი სინერგიის“ დახმარებით.

## პროექტის მიზნებია:

- 2008 წლის ომით დაზარალებული ადამიანების და მათი ოჯახების გამოჯანმრთელებისა და აღდგენის ხელშეწყობა მათთვის ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ფსიქოსოციალური, სამედიცინო და სოციალური მხარდაჭერის უზრუნველყოფით;
- დაზარალებული თემების აღდგენისა და სოციალური ერთიანობის ხელშეწყობა ცნობიერების ამაღლების, უნარ-ჩვევების გაძლიერების გზით.

**„კლუბი სინერგია“ გთავაზობთ** კვალიფიციურ, უფასო ფსიქოსოციალურ მომსახურებას, რომლის მიზანია სხვადასხვა სახის ფსიქოსოციალური მომსახურება, მათ შორის:

- ინდივიდუალური კონსულტაცია
- ჯგუფური მუშაობა
- ოჯახური კონსულტაცია
- უნარების განვითარებაზე ორიენტირებული ინდივიდუალური და ჯგუფური ტრანსდიაგნოსტიკური პროგრამები, როგორიცაა:
  - ემოციების (მაგ., ბრაზის) და კონფლიქტის მართვა
  - ეფექტური კომუნიკაცია და ინტერპერსონალური ურთიერთობები
  - სხვადასხვა ფსიქოსოციალური ინტერვენციები

## პროექტის ბენეფიციარები არიან

2008 წლის ომის შედეგად ადგილნაცვალი ან დაზარალებული პირები, რომლებიც აწამეს, აიყვანეს მძევლებად, რომელთა საკუთრება განადგურდა ძარცვა-რბევის, დაბომბვის, სამხედრო ოკუპაციის შედეგად.

ასევე, 2008 წლის საომარი მოქმედებებით დაზარალებული პირების ოჯახის წევრები (15 წელზე მეტი ასაკის) და მათი თემის წევრები.